საიდ. N 77492/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №107-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) N107-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის N804/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „АВЕГРА“ (საიდ. N77492/03) რეგისტრაციის შესახებ კომპანიის ქლოუზდ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ბიოკარდ“ სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ABEГPA“ ჟღერადობით მსგავსია მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა „ALLEGRA” და ეს მსგავსება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელთა/შემთავაზებელთა ერთმანეთში აღრევა. მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. საქონლის ჩამონათვალთან დაკავშირებით აპელანტი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ საქონელს „ფარმაცევტული პრეპარატები“. ხოლო მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ALLEGRA” რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „ჰიპერემიის (გარდა ჰიპერემიისა, რომელიც გამოწვეულია თვალის დაავადებით) დასაწევი ანტიჰისტამინური ფარმაცევტული პრეპარატები“. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნიშნით რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალი ვიწროა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის ზოგადი ჩამონათვალი - „ფარმაცევტული პრეპარატები“ მოიცავს ასევე, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქონელსაც. აპელანტის მითითებით ნიშნები საკმაოდ მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი წარმოითქმის როგორც „ა- ლე- გრა“, ხოლო სადავო ნიშანი, როგორც „ა-ვე-გრა“. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში 6 ასოდან 5 იდენტურია, ასევე იდენტურია ასოთა თანმიმდევრობა და განლაგება სიტყვებში. იდენტურია მარცვალთა რაოდენობა და ამ მარცვლებში თანხმოვნებისა და ხმოვნების მდებარეობა. სიტყვებში განსხვავებულია მხოლოდ მეორე ასოები „ლ“ და „ვ“ - ორივე ეს ბგერა რბილი ბგერაა და წარმოთქმისას იკარგება. ძირითადი აქცენტი კეთდება სიტყვის საწყის ასოზე „ა“ და ბოლო მარცვალზე „გრა“, რომლებიც მკაფიოდ

წარმოითქმის და სწორედ ამიტომ, მათზე მოდის ძირითადი განმასხვავებლობა ნიშნებში. სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების პირველი ასოების და ბოლო მარცვლის იდენტურობა კი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სასაქონლო ნიშნები ფაქტიურად იდენტურად წარმოითქმის და მაღალია ალბათობა ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისა მწარმოებლის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის N804/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „АВЕГРА“ (საიდ. N77492/03) რეგისტრაციის შესახებ კომპანიის ქლოუზდ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ბიოკარდ“ სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

დაინტერესებული მხარე, კომპანია ქლოუზდ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ბიოკარდ“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, მართალია ფონეტიკური მსგავსება არსებობს ნიშნებს შორის, მაგრამ განსხვავებულია ნიშნები ვიზუალურად, კერძოდ სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინურ ენაზე. ამასთან, დაინტერესებული მხარე თანახმაა შეზღუდოს მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატები“. ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური განსხვავებისა და საქონლის განსხვავებული ჩამონათვლის გათვალისწინებით, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის N804/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში რომლითაც მიღებულ

იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „АВЕГРА“ (საიდ. N77492/03) რეგისტრაციის შესახებ მე-5 კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციას მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატები“.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „АВЕГРА“ (საიდ. N77492/03) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ALLEGRA” (რეგ. N10400) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

ორივე სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს და არ შეიცავს გამოსახულებით სიმბოლოებს. ამასთან, მართალია სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინურად, მაგრამ ნიშნებს შორის არსებობს იმდენად დიდი მსგავსება ფონეტიკური თვალსაზრისით, რომ აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

სადავო სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ა-ვე-გრა“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ა-ლე-გრა“. ჟღერადობრივი თვალსაზრისით, ნიშნები შედგება მარცვლების ერთნაირი რაოდენობისაგან. ნიშნებს

შორის განსხვავება მხოლოდ ერთ თანხმოვანშია - „ლ“ და „ვ“, რომლებიც მჟღერ მგერებს მიეკუთვნებიან.

რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს, კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვის პირობებშიც, მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატები“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ჰიპერემიის (გარდა ჰიპერემიისა, რომელიც გამოწვეულია თვალის დაავადებით) დასაწევი ანტიჰისტამინური ფარმაცევტული პრეპარატები“. კოლეგიას მიაჩნია, რომ მართალია, ორივე ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია განკუთვნილია სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი თავისი ბუნებით წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს, ვინაიდან ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილ ფარმაცევტულ პრეპარატებს მოიცავს. ამასთან, აღრევამდე მსგავსი დასახელების ფარმაცევტული პრეპარატები წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „АВЕГРА“ (საიდ. N77492/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ავენტის ინკ.“ (AVENTIS INC.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის N804/03 ბრძანება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე